ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 194

“ 22 ” ივლისი 2016 წ.

ქ. თბილისი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის „თბილისის ავტობუსების პროექტთან დაკავშირებით“ გაფორმებული გრანტის სახით თანხის გადაცემის ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 8 ივლისის №179 განკარგულების „საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის „თბილისის ავტობუსების პროექტთან დაკავშირებით“ გრანტის სახით თანხის გადაცემის ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 21 ივლისის №17/191392 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. დამტკიცდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის „თბილისის ავტობუსების პროექტთან დაკავშირებით“ თანხის გადაცემის შესახებ 2016 წლის 21 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულება თანდართული სახით.
2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი

თანხის გადაცემის ხელშეკრულება

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს

და

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას

შორის

თბილისის ავტობუსების პროექტთან
დაკავშირებით

2016 წლის 21 ივლისი

თბილისი

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (შემდგომში სამინისტრო), როგორც თანხის გამცემი, ერთის მხრივ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში მერია), როგორც თანხის მიმღები, მეორეს მხრივ, შემდგომში წოდებული მხარეებად,

იმის გათვალისწინებით, რომ:

- საქართველოს და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „თბილისის ავტობუსების პროექტთან" დაკავშირებით (შემდგომში - პროექტი) 2016 წლის 11 მაისს ხელი მოეწერა სასესხო შეთანხმებას (შემდგომში - სასესხო შეთანხმება) 27,000,000 (ოცდაშვიდი მილიონი) ევროზე;
- პროექტთან დაკავშირებით საქართველოს და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის 2016 წლის 11 მაისს ხელი მოეწერა საგრანტო შეთანხმებას (შემდგომში - საგრანტო შეთანხმება) 7,000,000 (შვიდი მილიონი) ევროზე;
- პროექტთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის 2016 წლის 11 მაისს ხელი მოეწერა პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულებას (შემდგომში - პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულება);
- პროექტთან დაკავშირებით შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა" და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის 2016 წლის 11 მაისს ხელი მოეწერა პროექტის განხორციელების ხელშეკრულებას (შემდგომში - პროექტის განხორციელების ხელშეკრულება);

დებენ წინამდებარე თანხის გადაცემის ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება).

მუხლი 1
ტერმინთა განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, აქვთ იგივე მნიშვნელობები, რაც მოცემულია სასესხო შეთანხმებაში, საგრანტო შეთანხმებაში, პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულებასა და პროექტის განხორციელების ხელშეკრულებაში (მათ შორის მითითებები რომელიმე სხვა ხელშეკრულებაზე ან დოკუმენტზე).

მუხლი 2
ხელშეკრულების საგანი

სამინისტრო მერიას უსასყიდლოდ გადასცემს საგრანტო შეთანხმებით საქართველოსათვის გათვალისწინებულ 7,000,000 ევროს (შემდგომში გრანტის თანხა) ოდენობის თანხას, საგრანტო შეთანხმებით, პროექტის განხორციელების ხელშეკრულებით და პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

მუხლი 3
მხარეთა უფლება-მოვალეობები

1. სამინისტრო:

ა) ვალდებულია უზრუნველყოს მერიისთვის საგრანტო შეთანხმებით განსაზღვრული პროექტის განხორციელებისთვის განკუთვნილი თანხების დროული და შეუფერხებელი მიწოდება;

ბ) სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნების ფარგლებში ფულადი სახსრების გამოყოფის მიზნით მერიისგან დამატებით მოითხოვოს ანგარიშები გაწეული ხარჯების შესახებ;

გ) შეაჩეროს თანხის გაცემა იმ შემთხვევაში, თუ მერიის მიერ დარღვეული იქნება, საგრანტო შეთანხმებით, პროექტის განხორციელების, პროექტის მხარდაჭერის და წინამდებარე ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები ან წარმოიქმნება ისეთი ფაქტი, რომელიც საფრთხეს უქმნის პროექტის განხორციელებას და პროექტის მიზნის მიღწევას;

დ) შეაჩეროს თანხის გაცემა იმ შემთხვევაში, თუ EBRD შეაჩერებს გრანტის თანხების გამოყოფას სამინისტროსთვის საგრანტო შეთნხმების შესაბამისად;

ე) შეწყვიტოს თანხის გაცემა იმ შემთხვევაში, თუ მერიის მიერ სასესხო შეთანხმებით, საგრანტო შეთანხმებით, პროექტის განხორციელების და წინამდებარე ხელშეკრულებებით აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო EBRD შეწყვეტს გრანტის თანხების გამოყოფას სამინისტროსთვის საგრანტო შეთანხმების პირობების შესაბამისად;

ვ) თუ შეიქმნება ისეთი მდგომარეობა, რომელიც აღნიშნულია წინამდებარე პუნქტის „ბ" ქვეპუნქტში და ის მერიის მიერ არ იქნება გამოსწორებული სამინისტროს მიერ დადგენილ ვადაში (არაუგვიანეს 30 დღისა დარღვევის/ფაქტის მომენტიდან ან აღნიშნულის გამოვლენის მომენტიდან), ამ შემთხვევაში სამინისტროს უფლება აქვს შეწყვიტოს თანხის გაცემა და მოითხოვოს მერიისგან ჯერ კიდევ აუთვისებელი თანხების უკან დაბრუნება;

ზ) უფლებამოსილია დაუდასტუროს ბანკს პროექტისთვის EBRD-ის ანგარიშიდან გრანტის თანხების გამოთხოვაზე მერიის მიერ წარდგენილი პირების უფლებამოსილება.

2. მერია ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს პროექტის ეფექტური განხორციელება ყველა იმ პირობათა დაცვით, რაც გათვალისწინებულია, საგრანტო შეთანხმებით, პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულებით, პროექტის განხორციელების ხელშეკრულებით და წინამდებარე ხელშეკრულებით, ამავდროულად შეასრულოს ყველა ის ვალდებულება (მოთხოვნა), რომელთა შესრულების უზრუნველყოფა მერიის მეშვეობით საგრანტო შეთანხმებით ევალება საქართველოს;

ბ) საჭიროების შემთხვევაში ყოველწლიურად თავის ბიუჯეტში გაითვალისწინოს ხელშეკრულებით განსაზღვრული შესაძლო გასაწევი ხარჯების თანხები. სამინისტროს ყოველწლიურად დაუდასტუროს აღნიშნული;

გ) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით ამ პროექტისათვის განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში გაწიოს მხოლოდ პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ხარჯები;

დ) აწარმოოს ჩანაწერები და ანგარიშები, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების შესაბამისად;

ე) გრანტის თანხების გამოთხოვის მიზნით სამინისტროში წერილობით დასამოწმებლად წარადგინოს უფლებამოსილ პირთა ხელმოწერის ნიმუშები, ხოლო ამ უფლებამოსილი პირების შეცვლის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს სამინისტროს;

ვ) .უზრუნველყოს გაწეული ხარჯების დამამტკიცებელი ყველა ჩანაწერის (კონტრაქტების, შეკვეთების, ანგარიშ-ფაქტურების და სხვა დოკუმენტების) შენახვა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ზ) ყოველკვარტალურად, კვარტლის დასრულებიდან 10 დღის ვადაში სამინისტროს წარუდგინოს ანგარიში პროექტის ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებებთან და მათ მიღწეულ შედეგებთან, ასევე სახსრების ხარჯვასთან დაკავშირებით. სამინისტროს მიერ დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში მოთხოვნიდან 10 დღის ვადაში წარადგინოს სამინისტროში შესაბამისი ინფორმაცია ან დოკუმენტაცია (ასლი). ინფორმაციის ან დოკუმენტაციის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, მერია უფლებამოსილია მოითხოვოს ამ პუნქტით განსაზღვრული ვადის 10 დღით გადაწევა;

თ) წლის დასრულებიდან 45 დღის ვადაში სამინისტროში წარადგინოს ანგარიში წლის განმავლობაში პროექტის ფარგლებში გაწეული ხარჯების და საქმიანობის შესახებ;

ი) სამინისტროს წარუდგინოს პროექტის წლიური აუდიტორული დასკვნა.

მუხლი 4
გადასახდელები, მოსაკრებლები და სხვა ხარჯები

პროექტის განხორციელების პერიოდში, პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული გადასახადები და მოსაკრებლები გრანტის თანხიდან არ დაფინანსდება. მერია თავის თავზე იღებს პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებულ გადასახდელს, მათ შორის გადასახადებსა და მოსაკრებლებს.

მუხლი 5
დავა

მხარეები ეცდებიან თავიდან აიცილონ წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყოველგვარი დავა და კონფლიქტი, ხოლო ხელშეკრულების შესრულებისას წარმოშობილი უთანხმოებანი გადაწყვიტოს ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ.

მუხლი 6
დასკვნითი დებულებები

1. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე.
2. მხარეთა თანხმობით, ხელშეკრულებაში ნებისმიერ დროს შეიძლება შეტანილი იქნეს ცვლილებები და/ან დამატებები წერილობით, რომელიც მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად განიხილება.
3. მხარეთა ურთიერთობები, რომელიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
4. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

ხელმოწერილია 2016 წლის 21 ივლისს

მხარეთა იურიდიული მისამართები:

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
საქართველო, ქ. თბილისი 0114 გორგასლის ქ. 16 ტელ/ფაქსი(995 32) 2262 423	საქართველო ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას #7 ტელ: (995 32) 272 22 22
უფლებამოსილი წარმომადგენელი	უფლებამოსილი წარმომადგენელი